მერის ნებართვა

გახსოვთ მთელ მსოფლიოს კორონა ვირუსი რომ მოედო? ჰოდა,იმ დროს, ერთი მაღალი მთის მწვანე კალთაზე გაშენებულ სოფელში, ტყის პირას მცხოვრები ნუგო პაპა, შვილიშვილების თხოვნით საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში წამოვიდა. როცა დაავადება გამწვავდა ქალაქში გადაადგილებაც კი შეიზღუდა. ადამიანები სახლებში შეიკეტნენ, ქუჩები კი უფრო განაცრისფერდა. ნუგო პაპა უსაქმოდ ხომ არ იჯდებოდა, ადგა და კორპუსის სახურავზე ხეხილის ბაღი გააშენა.

მას ძალიან შორსმხედველი ტელესკოპი ჰქონდა სახელად ვარსკვლავმზერი, რომლითაც ახალ-ახალ ეგზოპლანეტებს პოულობდა ცაზე და აღწერდა. ნუგო პაპა საოცარ ამბებს უყვებოდა თავის შვილიშვილებს უცხოპლანეტელ არსებებზე. შვილიშვილები კი მოყოლილი ამბების სანაცვლოდ კორპუსის სახურავზე გაშენებული ბაღიდან დრონით მეზობლებს ხილითა და ბოსტნეულით სავსე კალათებს ურიგებდნენ. გადაზიდვისას ქურდბაცაცა ჩიტები ხილ-ბოსტნეულს იტაცებდნენ და მეზობლებთან თითქმის ცარიელი კალათები მიდიოდა. დრონსაც დროდადრო აზიანებდნენ. რაღაც უნდა ეღონათ.

- სანდრო, მოიფიქრე როგორ მივაწოდოთ მეზობლებს ხილ-ბოსტნეული უფრო უსაფრთხოდ? -ეკითხება ყველაზე მოუსვენარ შვილიშვილს ნუგო პაპა.

- პაპა, სხვა კორპუსებზეც მოყავთ ბოსტნეული?

- არა მგონია...

- მერე ვასწავლოთ ბაღ-ბოსტნეულის გაშენება! საქმეც გამოუჩნდებათ და ჩვენც აღარ მოგვიწევს კალათების დრონით ზიდვა.

- იმედი მქონდა რომ კარგ რამეს მოიფიქრებდი... - გაუღიმა ნუგო პაპამ სანდროს.

- კარგი აზრია? - თვალები გაუბრწყინდა სანდროს.

- კარგი აზრია - დაეთანხმა შვილიშვილს პაპა.

- მაგრამ როგორ ვასწავლოთ? გარეთ არავის უშვებენ, როგორ მოვხვდეთ მეზობლების სახურავზე- დაღონდა სანდრო.

- რამეს მოვიფიქრებთ თუმცა ჯერ მერის ნებართვა გვჭირდება.

- მერის ნებართვა?

- ჰო, კორპუსის სახურავების გამწვანებასა და განაშენიანებაზე. - ჩაფიქრდა ნუგო პაპა, ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და სახურავის კოშკურასკენ წავიდა.

- მერის? - ისევ გაიკვირვა სანდრომ და უცებ გონება გაუნათდა: - „ პაპა ალბათ კორპუსის თავმჯდომარეს, მეოთხე სართულის მერი ბებოს გულისხმობსო.“

ამის გაფიქრება იყო და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა კიბეებზე, რამდენიმე წამში უკვე მეოთხე სართულზე იყო და კორპუსის თავმჯდომარის კარზე აკაკუნებდა.

- ვინ არის? - მკაცრად იკითხეს კარის იქიდან.

- მეექვსე სართულელი სანდრო გაწუხებთ ქალბატონო მერი, აუცილებელი საქმე მაქვს თქვენთან.

- ოო, ეს ის სანდროა, განახლებად ენერგიაზე მომუშავე, ენერგოეფექტური ბაბუა რომ ყავს, ჩვენი კორპუსის ჰაერში აწევა და დანგრევა რომ უნდა? ბაბუაშენის გამოა ამ ზაფხულს ჭია-ღუა რომ ვერ გამოვლიე სახლში. - დაიძახა წარბებაწკეპილმა კორპუსის თავჯდომარემ და ჯახა-ჯუხით გახსნა კარი.

- მე კი მინდოდა, თქვენგან მეზობელი კორპუსების გა ბაღ ბოსტნიანების ნებართვა ამეღო...- ენის ბორძიკით თქვა სანდრომ.

- რას მელაპარაკები? შენ იმ კაცის შვილიშვილი არა ხარ, სათაგვეთს რომ დაამსგავსა მთელი კორპუსი, ხო, როგორ არა, მთელ უბანს დაგანგრევინებთ მამა გიცხონდათ, დამცინით კიდეც?

- არა მერი ბებო, რას ამბობთ, პაპა სულაც არაა ისეთი თქვენ რომ გგონიათ. მას კეთილი სურვილები ამოძრავებს. შეუძლია თქვენთვის ისეთი მოწყობილობა შექმნას, რომელიც გაზის, დენის, გამათბობლისა და გამაციებლის მაგივრობას გაგიწევთ. არც გადასახადებს აღარ გადაიხდით. ის ხელოვნური წვიმის, ქარისა და ღრუბლების შექმნაზეც კი მუშაობს. მალე ჩვენი კორპუსის სახურავზე მზის სხივების საჭერ ბადესაც მოაწყობს. პაპა ამბობს რომ მზის სხივი ბუნებრივი ენერგიაა რომელსაც სამყარო გვჩუქნის ჩვენ კი კარგად ვერ ვიყენებთ.

- ბაბუას გადაეცი ნუ მოცდება. ხელოვნური წვიმაც გამოგონილია, ქარიც და ყინვაც. პირველს „დუში“ ჰქვია, მეორეს „ვენტილიატორი“ მესამეს „კონდინციონერი“. მზის სხივების დაჭერა ვის გაუგია? თუ მეტი საქმე არ აქვს, აგერ მტკვარი ორ ნაბიჯზეა, ჩავიდეს სანაპიროზე და ითევზაოს რამდენიც უნდა. ჩვენ რას გვერჩის? დროზე თუ არ შევაჩერებთ ბაბუაშენს მალე ხელოვნურ ზღვას გამოიგონებს და მთელ ქალაქს დატბორავს.

- პაპას გაშენებული ბაღიდან მორთმეული ხილ-ბოსტნეული ხომ კარგი იყო? - წყენა შეერია ხმაში სანდროს.

  კორპუსის თავმჯდომარემ ამ სიტყვებზე თავი ვეღარ შეიკავა და გულიანად გაიცინა, მაგრამ მალე ისევ მოზიდა წარბები სანდროს დასანახად და ხმადაბლა ჩაილაპარაკა: -მაინცდამაინც არ მომწონებია, ხელოვნური წვიმის გემო ჰქონდა!

- იცით ქალბატონო მერი ბუნებაში რამდენი სასარგებლო, უცნობი და უხილავი ძალაა, პაპა ამბობს რომ ისინი, პირველყოფილი, მივიწყებული ენერგიებია, რომლებიც ჩვენს ირგვლივაა მიმოფანტული. იცით რამდენი რამ იცის მათ შესახებ. მაგალითად მას შეუძლია მდინარეში ისეთი მოწყობილობები ჩადგას რომ მდინარე აღარ ადიდდეს. პაპას ზვავის შეჩერებაც შეუძლია და ვულკანების ჩაქრობაც. მალე ნაგვისამკრეფ პაწაწინა მანქანებსაც დაამზადებს რომლებიც ჰაერში იფრენენ და მეეზოვეებს შრომას შეუმსუბუქებენ.

- აბა, თუ ვულკანების ჩაქრობაც შეუძლია მთლად ჰეფესტო ყოფილა. - სიბრაზემ საბოლოოდ გაუარა თავმჯდომარეს.

- ჰეფესტო კი არაა, გამომგონებელია, იცით რამდენი სათამაშო აქვს აწყობილი ჩემთვის რომლის მსგავსი არ არსებობს? იცით, რომ მე მაქვს ხელოვნურფარფლებიანი ზღვის ფეხსაცმელი რომელიც ცურვაში მეხმარება. მაქვს მფრინავი უკლავებო მოსაცმელიც რომელიც რაღაც უხილავ ტალღებზე მუშაობს და შეუძლია ორი მეტრის სიმაღლეზე რამდენიმე ათეული მეტრი მაფრინოს. ბოლო ხანს ქალაქის ხმაურის გარდაქმნაზეც მუშაობს, უნდა რომ ისეთი

მოწყობილობა შექმნას რომელიც გამაყრუებელ ხმაურს წყნარ, დამამშვიდებელ მელოდიად გადააქცევს...

- რაო, რაო?... მფრინავი ხალიჩაც გექნებათ თქვენ ოჯახში... - სათვალე ცხვირზე ჩაისკუპა თავმჯდომარემ და გამომცდელად დააცქერდა სანდროს.

სანდრომ თავი შეიკავა რომ არ გასცინებოდა, ძალღონე მოიკრიბა და რაც შეიძლებოდა დამაჯერებლად განაგრძო:

- მე ვთხოვ პაპას და ხმაურის მელოდიად გარდამქმნელ მოწყობილობას დაგიმზადებთ ნებართვის სანაცვლოდ.

- რომელი ნებართვის? - თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი ბიჭს კორპუსის თავმჯდომარემ და ეშმაკურად აციმციმებულ თვალებში ჩახედა.

- მეზობელი კორპუსების გაბაღ... გაბაღბოსტნიანების! - ისევ გაუჭირდა ბოლო სიტყვის თქმა სანდროს.

- გაძლევთ ნებართვას ბატონო, გაძლევთ. მარტო ჩვენი უბნის კი არა, მთელი ქალაქის, მთელი ქვეყნის, მთელი დედამიწის გახარების ნებართვას გაძლევთ. გაახეივნეთ და გაახეხილიანეთ, გაამწვანეთ და გაველმინდვრიანეთ, გააშემოდგომისფერეთ ეს მოწყენილი სამყარო - ხელები გაშალა კორპუსის თავმჯდომარემ, ჩაიმუხლა და სანდრო გულში ჩაიკრა.

ცოტა არ იყოს შეცბუნებული და შეფიქრიანებული სანდრო თავაზიანად დაემშვიდობა კორპუსის თავმჯდომარეს რამდენიმე სართული დინჯად იარა კიბეზე მერე კი მოსწყდა ადგილიდან და სახურავისკენ აიღო გეზი.

- გვაქვს მერის ნებართვა, - ახარა გულამოვარდნილმა სანდრომ ფორთოხლის ხის ქვეშ ჩაფიქრებულ პაპას.